საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დავათი

დავათი, დ ა ო თ ი, დ ა ვ ა ლ თ ი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ლაფანაანთკარის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ქართლის ქედის დას. კალთაზე, არაგვის მარცხ. შენაკადის – აბანოსხევის სათავეში. ზ. დ. 1160 მ, დუშეთიდან 24 კმ, მცხეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 34 კმ. 212 მცხ. (2002).

დ., ანუ დაოთი, ერთ-ერთი უძველესი ქართ. სოფელია. იგი მოხსენიებულია 1170 გიორგი III-ის მიერ განახლებულ სიგელში, რ-იც ადრე გაუცია კვირიკე კახთა მეფეს. სოფლის სამხრ.-აღმოსავლეთით მდებარეობს ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი დავათის ღვთისმშობლის ეკლესია.